ლელო
საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ
27 მარტი, სამშაბათი, 1990 წ.
№ 57 (10 226) ● ფასი 3 კაპ.
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ანზორ კიკნაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში



გოგონათა ტურნირში გამარჯვებულები (მარცხნიდან): ნინო ჩორგოლაშვილი, ნინო მირუაშვილი, ნინო მარჯანიშვილი და ნინო ქუცნიაშვილი.

# ყველაზე მეტი ჯილდო — მასპინძლებს

**ტურნირის** ბოლო ორი დღე, როგორც მოსალოდნელი იყო, ქართველი სპორტსმენებისათვის მეტად უხვმოსავლიანი გამოდგა, ჩვენმა გოგოებმა ყველა გააკვირვეს: 54 კგ წონაში შესანიშნავად იასპარეზა გორელმა ნინო ჩორგოლაშვილმა, რომელმაც ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო და ჩემპიონობა მოიპოვა. მეორე ადგილზე გავიდა ნატალია კრასნაია, მესამეზე — სვეტლანა მაშაროვა და თბილისელი ლალი გრიგოლაშვილი.

აღსანიშნავია გორელი ძიუდოისტის ნინო მარუაშვილის (61 კგ) ბრწყინვალე გამოსვლა. მან ჩორგოლაშვილის მსგავსად ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ნინოზე 3 შეხვედრით მეტი ჩაატარა და ოქროს მედალთან ერთად კიდევ ერთი პრიზი — ყველაზე მეტი წმინდა გამარჯვებისთვის დაწესებული მოიპოვა.

51 კგ წონაში გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრმა სვეტლანა ხამუხინამ, რომელმაც ფინალური ორთაბრძოლა მოუგო თანაგუნდელ ტატიანა მინკოვას, კვარცხლბეკის შემდეგი საფეხურებიც მათმა თანაგუნდელებმა დაიკავეს — ირინა შუკინამ და ოქსანა პირიმჩუკმა.

57 კგ წონით კატეგორიაში ყველას აჯობა პოლონელმა ქერათმიანმა „ამორძალმა“ მალგოჟატა პორავსკამ, რომელმაც მაყურებელთა დიდი სიმპათია დაიმსახურა. მან 10 წამში იპონით დაამარცხა ირინა კოზლოვა (სსრკ).

65 კგ წონაში შესანიშნავად იჭიდავა თბილისელმა მაია გობეჯიშვილმა, მან ფინალში ორი ვაზარი აართვა ოლგა ვოროზიოვას (სსრკ) და შეხვედრაც ვადაზე ადრე შეწყვიტა. ანალოგიური უპირატესობით მესამე ადგილისთვის ბრძოლაში გაიმარჯვა ირმა მელიქიშვილმა სედა აკოფოვასთან.

საერთოდ, ტურნირის მესამე დღეს გათამაშებული ყველა ოქროს მედალი ქართველმა გოგოებმა მოიპოვეს. მ. გობეჯიშვილის მსგავსად კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური დაიპყრეს ნინო მარჯანიშვილმა (75) და ნინო ქუცნიაშვილმა (+75), რომელმაც აბსოლუტური პირველობის ფინალში დაამარცხა ნ. მარჯანიშვილი და ორ ოქროს მედალს დაეუფლა, მარჯანიშვილმა კი „ოქროს“ ვერცხლის მედალიც შემატა. ჭაბუკებში იმარჯვა ენძელა სოლოღაშვილმა (70 კგ). საერთო ჯამში, ჩვენმა გოგოებმა მოიპოვეს 7 ოქროს, 4 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალი. ეს მართლაც დიდი წარმატებაა.

ჭაბუკებმა კი თავიანთი შესანიშნავი ასპარეზობით ყველას კინაღამ გადაავიწყეს გოგოების მიერ მოგებული მედლები. საერთოდ, ტურნირზე იმდენი შესანიშნავი ილეთი ჩატარდა, იმდენი ლამაზი და დასამახსოვრებელი შეხვედრა გაიმართა, რომ მათი ჩამოთვლა შეუძლებელია, თუნდაც მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლები იყოს. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს რომან მხეიძის ბრწყინვალე გამარჯვება გელა ბაიძესთან, რომელმაც, თავის მხრივ, შესანიშნავად ჩაატარა ტურნირი და მართლაც ღირსეულ მეტოქეს დაუთმო პირველი ადგილი. ეს სპორტსმენები 62 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდნენ, სადაც რამაზ ზედგენიძე მესამე ადგილს დაეუფლა.

მომდევნო წონით კატეგორიებში (68 და 75 კგ) გამარჯვებები მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრებმა კონსტანტინე სავუშკინმა და დიმიტრი მოროზოვმა, მათ ფინალურ ორთაბრძოლებში სძლიეს ქართველ ძიუდოისტებს, შესაბამისად ზურაბ ალექსიშვილს და თემურ ოქროსიშვილს. 68 კგ-ში მოასპარეზე თბილისელმა ძიუდოისტმა ალექსი ღვინიაშვილმა ყველა მოხიბლა თავისი იშვიათი ილეთებითა და ლამაზი ჭიდაობით, მაგრამ საბოლოოდ მესამე ადგილს დასჯერდა — ქულებით დამარცხდა მომავალ ჩემპიონთან ვ. სავუშკინთან. ასევე თავი გამოიჩინა გიორგი ოძელაშვილმა (83 კგ), რომელიც თავიდანვე ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა. მან ჯერ 5 წმინდა გამარჯვება მოიპოვა ისე, რომ თითოეულზე 53 წამზე მეტი დრო (ესეც ერთგვარი რეკორდია) არ დაუხარჯავს. მაგრამ ფინალში გასასვლელი შეხვედრა დათმო მამუკა ბექაურთან. ამ უკანასკნელმა კი ჩემპიონის წოდების მოსაპოვებელ ბრძოლაში დაამარცხა თანაგუნდელი კობა გველესიანი და პირველობა მოიპოვა. მესამე ადგილები წილად ხვდათ გიორგი ოძელაშვილსა და მერაბ როსტიაშვილს.

+90 კგ-ში, მსგავსად 83 კგ-ისა, კვარცხლბეკის ყველა საფეხურზე ქართველი ფალავნები ავიდნენ. ფინალში კახა გუჯეჯიანმა მძიმე ბრძოლაში სძლია დავით ჭელიძეს. მესამე ადგილებზე გავიდნენ ზვიად ტვილდიანი და ჯაბა გამხატაძე. სხვათა შორის, საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები გუნდის მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა იწინასწარმეტყველა მძიმეწონოსანთა ფინალური წყვილის ვინაობა, ხოლო სავარაუდო გამარჯვებული არ დაასახელა. „მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ორივე ჭაბუკი ღირსია ჩვენი ნაკრების კანდიდატობისა,“ — აგვიხსნა მან.

ტურნირის უკანასკნელ დღეს თორმეტიდან მხოლოდ ერთი მედალი ერგო სტუმარ სპორტსმენს — როლფ პოზნერს (გფრ), რომელმაც მართლაც შესანიშნავი ჭიდაობა უჩვენა მაყურებელს. ეს მოხდა 90 კგ წონაში, სადაც ჩემპიონი გახდა თამაზ ცოფურიშვილი. მან ფინალური შეხვედრა მოუგო ინჯი ჯაბადარს. ვერცხლის მედალი მოიპოვა პაატა ჭკუასელმა. ჩვენმა ჭაბუკებმა საბოლოოდ მოიპოვეს 6 ოქროს, 8 ვერცხლისა და 13 ბრინჯაოს მედალი. აღსანიშნავია, რომ ქართველთა და საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრთა სიმრავლემ აიძულა ტურნირის ორგანიზატორები განტვირთვის მიზნით პირველ წრეში დაესვენებინათ ყველა უცხოელი ძიუდოისტი და მხოლოდ ქართველი და საბჭოთა ნაკრების წევრები არკვევდნენ ურთიერთობას ერთმანეთთან.

ასე თუ ისე, ტურნირმა მაღალ დონეზე ჩაიარა. მაყურებელმა მრავალი ლამაზი შერკინება ნახა, ახა-

იხ. მე-2 გვ.



ვაჟთა ტურნირში გამარჯვებულები. (მარცხნიდან): როლანდ მხეიძე, ენძელა სოლოღაშვილი, მამუკა ბექაური, თამაზ ცოფურიშვილი და კახა გუჯეჯიანი.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

# ფეხბურთი: ზეიმია, ზეიმი!

**სულ** რამდენიმე დღელა რჩება საქართველოს ფეხბურთელთა პირველი ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე და რაც უფრო ახლოვდება პირველობის სტარტი, მით მეტი მოუთმენლობა იპყრობს ამ თამაშის ჭეშმარიტ თაყვანისმცემლებს. როგორი იქნება ქართული ფეხბურთის ისტორიის ახალი ეტაპი? რა გავლენას მოახდენს იგი ჩვენს რესპუბლიკაში ფეხბურთის შემდგომ განვითარებაზე? ეს და მრავალი სხვა საკითხი დიდად აინტერესებს დღეს რესპუბლიკის საზოგადოებრიობას. პირველი ჩემპიონატის წარმატებულმა დასაწყისმა და მიმდინარეობამ საფუძველი უნდა ჩაუყაროს მომავალ გამარჯვებებს, მასზე დიდად იქნება დამოკიდებული კარგი გაგრძელებაც. გათამაშების გახსნამ, რომელიც თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება 30 მარტს, როდესაც ერთმანეთს შეხვდებიან მასპინძელთა გუნდი „თბილისი“ (ყოფილი „დინამო“) და ფოთის „კოლხეთი“, ბედნიერი დასაბამი უნდა მისცეს ამ გათამაშებას.

იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს ჩვენი რესპუბლიკის პირველი ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის სამზადისი, რა პრობლემები უნდა გადაწყდეს მის დაწყებამდე დარჩენილ დროში, გაიმართა სჯა-ბაასი თათბირზე, რომელიც საქართველოს მინისტრთა საბჭოში მოეწყო. თათბირს უძღვებოდა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ლორთქიფანიძე.

ინფორმაციებით გამოვიდნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნ. ახალკაცი, ამ ორგანიზაციის გენერალური მდივანი დ. კვინიკაძე, ჩემპიონატის საზეიმო გახსნის სცენარის ავტორი რეჟისორი ო. ღვაბერიძე და სხვები. აღინიშნა, რომ მთლიანად სამზადისი ნორმალურად მიმდინარეობს, წყდება ცალკეული ორგანიზაციული საკითხები.

შექმნილია საქართველოს ფეხბურთელთა პირველი ეროვნული ჩემპიონატის გახსნის საზეიმო ცერემონიის მომზადებისა და მოწყობის შტაბი, რომელსაც სათავეში უდგას საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. მახარაძე. მასში შედიან თბილისის აღმასკომის, საქალაქო სპორტკომიტეტის, რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები.

(საქინფორმი).

# ქულები თანაბრად გაიყვეს

### სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

**თბილისი. ბავშვთა კალათბურთის სასახლე (ვერის ბაღი). 24 მარტი.**

**„დინამო“ (თბილისი) — „კალევი“ (ტალინი) 76:91 (28:51).**

**„დინამო“: დაუშვილი (23), ვაშაკიძე (13), სანაძე (12). შენგელია (10), დარსაძე (7), ბაქრაძე (5), ფერიაშვილი (4), ცხვედიანი (2).**

**„კალევი“: სოკი (16). ნაგელი (16), კუუსმაა (14), მეტსტაკი (14), ბაბენკო (12), კარავაევი (10), საკსაკულმი (3), რეიგამი (2), იურკატამი (2), ტოომისტე (2).**

**მსაჯები — მ. ბერნატსი (ლიეპაია) და ე. რეხერი (მოსკოვი)**

**დუბლშემადგენლობანი — 77:99 (39:49).**

**თბილისი. ბავშვთა კალათბურთის სასახლე (ვერის ბაღი). 25 მარტი.**

**„დინამო“ (თბილისი) — „კალევი“ (ტალინი) 76:74 (42:39).**

**„დინამო“: დარსაძე (20), ვაშაკიძე (17), შენგელია (17), სანაძე (10), დაუშვილი (5), ფერიაშვილი (5), ცხვედიანი (2).**

**„კალევი“: კუუსმაა (21), სოკი (17), მეტსტაკი (14), ბაბენკო (12), რეიგამი (5), კარავაევი (3), ნაგელი (2).**

**მსაჯები — ე. რეხერი (მოსკოვი) და მ. ბერნატსი (ლიეპაია).**

**დუბლშემადგენლობანი — 91:90 (81:81, 46:42).**

**ალმა-ათაში** წარუმატებელი მატჩების შემდეგ თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდი ტალინის „კალევს“ მასპინძლობდა. მოხდა ისე, რომ ჩვენი გუნდი შინ დაბრუნებისთანავე გამოვიდა სათამაშო მოედანზე, ვინაიდან ადრე ვერ მოახერხა თბილისში ჩამოსვლა. დამქანცველი მგზავრობის შემდეგ, მოგეხსენებათ, ძნელია ძალების სრულად მობილიზება.

შეხვედრის დასაწყისშივე „დინამოთი“ წუთის განმავლობაში ფლობდა ინიციატივას. მაგრამ შემდეგ ზედიზედ რამდენიმე შეცდომა დაუშვა... „კალევი“ კი ის გუნდი არ არის, რომელიც ამას გაპატიებს: მეცხრე წუთისთვის უკვე სტუმრები იყვნენ წინ შვიდი ქულით — 19:12. თბილისელებს უფრო და უფრო ეტყობოდათ დაღლა, ამასთან აღარც თამაშში გამოსდიოდათ, არც დაცვაში, არც თავდასხმაში. ესტონელი კალათბურთელები ქულას ქულაზე უმატებდნენ და პირველი ტაიმიც დიდი ანგარიშით მოიგეს — 51:28.

მატჩის მეორე ნახევარში სურათი რამდენადმე შეიცვალა. ქართველმა კალათბურთელებმა თამაშის ტემპი გაზარდეს, სამქულიანი ზონიდანაც გაბედულად დაიწყეს ბურთის ტყორცნა. განსაკუთრებით აქტიურობდა დ. დაუშვილი. სამწუხაროდ, ამ დღეს ჩვენმა კალათბურთელებმა მხოლოდ ანგარიშში სხვაობის შემცირება მოახერხეს. გაიმარჯვა „კალევმა“ — 91:76.

განმეორებით შეხვედრაშიც, ცხადია, მძიმე ბრძოლა იყო მოსალოდნელი. ასეც მოხდა. მთელი პირველი ტაიმის მანძილზე და საერთოდ შეხვედრის ბოლომდე თამაში თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. პირველი ნახევარი ჩვენმა კალათბურთელებმა მოიგეს — 42:39.

შესვენების შემდეგ ბრძოლა უფრო გამძაფრდა. „კალევსაც“ და „დინამოსაც“ ქულები ჰაერივით სჭირდებათ — „კალევი“ საპრიზო ადგილისთვის იბრძვის, ხოლო დინამოელები უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად ზრუნავენ და ამან განაპირობა მატჩების ხასიათი.

მეორე შეხვედრაში მხოლოდ უმძაფრესი ბრძოლის შემდეგ გამოვლინდა გამარჯვებული. 76:74 — ასეთი ანგარიშით მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვეს თბილისელმა კალათბურთელებმა. მატჩის დეტალებს დაწვრილებით არ შევეხებით, ოღონდ ვიტყვით, რომ მასპინძლებმა გამარჯვებას იმის წყალობითაც მიაღწიეს, რომ უფრო აქტიურად ითამაშეს შეტევაში და საკუთარი ფარის დაცვასაც მეტი ყურადღება დაუთმეს.

**გია გურდული.**

### სხვა მატჩები

**ალმა-ათა.** ტურის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა ყაზახეთის დედაქალაქში გაიმართა ადგილობრივ არმიელთა და მოსკოვის „დინამოს“ შორის. მეტოქეებმა, როგორც იტყვიან ხოლმე, ერთმანეთს წყენა არ მიაყენეს და ქულები თანაბრად გაიყვეს. პირველი მატჩი ალმა-ათელებმა მოიგეს — 110:104 (53:56), მეორე — მოსკოვის დინამოელებმა — 96:86 (52:42).

**დონეცკი.** „შახტიორი“ ამჯერად ლენინგრადის „სპარტაკს“ მასპინძლობდა. პირველი შეხვედრა ნევისპირელთა გამარჯვებით დამთავრდა 89:83 (51:44).

**გათამაშების ცხრილი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (მ.) | 42 | 31 | 11 | 73 |
| „კალევი“ (ტალ.) | 41 | 27 | 14 | 68 |
| ცსკა | 35 | 30 | 5 | 65 |
| „ბუდიველ.“ (კ.) | 38 | 25 | 13 | 63 |
| ვეფ (რიგა) | 40 | 23 | 17 | 63 |
| „სპარტაკი“ (ლენ.) | 41 | 20 | 21 | 61 |
| ასკ (ალმა-ათა) | 37 | 22 | 15 | 59 |
| „დინამო“ (თბ.) | 42 | 13 | 29 | 55 |
| რტი (მინსკი) | 42 | 12 | 30 | 54 |
| „ჟალგ..“ (კაუნ.) | 37 | 17 | 20 | 54 |
| „შახტ.“ (დონ.) | 41 | 12 | 29 | 53 |
| „სტატიბა“ (ვილნ.) | 40 | 6 | 34 | 46 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იმედით უნდა განვიმსჭვალოთ

**ცოტაც** და აღიმართება რაგბიში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ალამი.

რა თქმა უნდა, სინამდვილეში არსად არავითარი ალამი არ აღიმართება, რამეთუ კარგა ხანია წავიდა ზეიმობანას დრო. უბრალოდ, შაბათს, 31 მარტს, გაიმართება პირველი ტურის სამი თამაში. კიდევ ორი შეხვედრა კვირას, 1 აპრილს მოეწყობა, ერთიც — ცოტა მოგვიანებით.

უკვე პირველი ტურის შეხვედრათა აგრერიგად არეული განრიგის გაცნობა გვაფიქრებინებს, რომ ახლად დაწესებულ, უფრო სწორად კი — მკვდრეთით აღდგენილ, შეჯიბრებას არაერთი სხვა წინააღმდეგობაც შეხვდება. მაგრამ როგორ რთულადაც უნდა იყოს საქმე, პირველობა მაინც უნდა გაიმართოს, თუკი ვესწრაფვით, რომ მოწყობილი (და არა კვლავინდებურად აწეწილ-დაწეწილი) საშინაო სარაგბო ცხოვრება გვქონდეს.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, დაე, ამთავითვე ვთქვათ, რომ სრულფასოვანი ეროვნული ჩემპიონატის გამართვის პირველი ხელისშემშლელი მიზეზი ისაა, რომ უძლიერესი ქართული გუნდები სსრ კავშირის ჩემპიონატშიც მონაწილეობენ. რამდენიც უნდა ვიმშვიდოთ გული, რომ საკავშირო შეჯიბრებებში გამოსვლა ირბ-ის მიერ საქართველოს ცნობას და საერთაშორისო სარბიელზე ქართული რაგბის დამოუკიდებლად გასვლას ხელს ვერ შეუშლის, მაინც აშკარაა, რომ „ცენტრის" მიერ დაკრულ ჰანგზე ბუქნაობით, ანუ მის მიერ (ჩვენი ინტერესების გაუთვალისწინებლად) შედგენილ შეჯიბრებათა კალენდრისადმი ჩვენი საშინაო სეზონის განრიგის ერთთავად მისადაგების ცდით, ერთგვარად ღამურებს ვემსგავსებით, მით უმეტეს, რომ ეროვნულსა და საკავშირო ჩემპიონატებს შორის მოქცეულ ჩვენს „მამლუქებს" შეგნებაც, ზნეობაცა და საქციელიც, უთუოდ, გაორებული აქვთ და ექნებათ.

ამიტომ, მოდით, სალად შევხედოთ აწმყოსა და მომავალს და ისე ჩავატაროთ წლევანდელი ეროვნული პირველობა, დღევანდელ „მამლუქებს" გაისად საკავშირო სარბიელისაკენ გახედვა არ მოესურვოთ და, ამ სარბიელს მოცილებულებს, გული არაფერზე დასწყდეთ.

მაგრამ, სანამ წელს გადასაწყვეტ პრობლემებს მიმოვიხილავდეთ, ჯერ საგაისო პერსპექტივაც დავსახოთ. ამთავითვე ვიგულისხმოთ, რომ 1991 წლიდან სარაგბო „ცენტრი" ველარაფერს მოგვახვევს თავს და ჩვენს ჩემპიონატს, როცა და როგორც მოგვესურვება, იმ დროსა და ისე გავმართავთ. რაკიღა, საერთო აზრით, საქართველოში სარაგბო სეზონი შემოდგომით უნდა იწყებოდეს და გვიან გაზაფხულამდე გრძელდებოდეს, ზაფხული კი დასვენებას, მზადებასა და, იქნებ რუსეთსა თუ ბალტიისპირეთში სტუმრობას ეთმობოდეს, ამიტომ უპრიანი იქნება, თუ ახალ განრიგზე შეძლებისდაგვარად მალე გადავალთ. რადგანაც ამ შემოდგომით ალარაფერი გამოგვივა, ამიტომ მომდევნო ჩემპიონატის გამართვა 1990 წლის დეკემბრიდან 1991 წლის მაისამდე უნდა დავგეგმოთ, 1991 წლის სექტემბრიდან კი სეზონთა ახლებური ათვლა შემოვიღოთ.

კარგი იქნება, თუ საშინაო სეზონი გამორჩეულად გაიხსნება და დაიხურება. რაკიღა გვგონია, რომ წელს ბოლოსდაბოლოს მივაგენით ორი გამორჩეული შეჯიბრების — „ამერ-იმერის შერკინებისა" და „ეროვნული შვიდკაცას" გამართვის ხელსაყრელ თარიღებს — 26 მაისსა და 1 სექტემბერს, ამიტომ უპრიანი იქნება, თუ 1991 წლის შემოდგომიდან დაწყებული, სეზონი სექტემბრის პირველ შაბათ-კვირას „შვიდკაცათი" გაიხსნება, მომდევნო მაისში კი „ამერ-იმერით" დაგვირგვინდება ხოლმე.

საფიქრებელია, რომ წლევანდელი და 1990-91 წლების ორი მრავალეტაპიანი ჩემპიონატი იკმარებს საიმისოდ, წლობით უმოქმედოდ მყოფი, ულმერთოდ მივიწყებული სტუდენტური გუნდები მყარად რომ დადგნენ ფეხზე და „მამლუქყოფილებს" ღირსეულად შეეტოქონ, ისიც მოსალოდნელია, რომ ახალ ვითარებაში „მამლუქთა" გუნდებიდან, როგორც სსრ კავშირის ჩემპიონატში სამონაწილეოდ შედგენილი ნაკრებებიდან, მოთამაშეთა დენა დაიწყოს, ან ეს ნაკრებები რამდენიმე ნაწილად დაიშალოს. ის კი ყოვლად აუცილებელია, რომ აღდგეს გუნდები სამედიცინო ინსტიტუტში, თელავში, ზესტაფონში, ჩოხატაურში, ზუგდიდში; შეიქმნას ფიზკულტურის ინსტიტუტში, ფიზკულტურის ტექნიკუმში, ქუთაისის ორ უმაღლეს სასწავლებელში თუ ქალაქის რომელიმე „ღონიერ" საწარმოში, მარტვილში, ტყიბულში, ვანში და ყველგან, სადაც კი „აიას" ყოფილი მოთამაშეები სახლობენ.

აუცილებელია, დღესდღეობით თბილისში მოქმედმა მოზარდთა სარაგბო სკოლებმაც — „ლელომ" და „ივერიამ" გაიჩინონ მოზრდილთა გუნდები და თავიანთ მიერვე აღზრდილი „ვარსკვლავებით", პირველ ყოვლისა, თავად სცადონ სახელის მოხვეჭა.

ზემოთქმულის ნაწილიც რომ გახორციელდეს, 1991-92 წლების სეზონისათვის, სულ ცოტა, 18-20 სრულფასოვანი გუნდი გვეყოლება, ეს კი საშუალებას მოგვცემს, ეროვნული ჩემპიონატი ლიგების სისტემაზე გადავიყვანოთ, რაც, როგორც მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, გამოადგება როგორც თამაშის დონის ამაღლებას, ასევე შეჯიბრებით მაყურებლის დაინტერესებას.

ახლა, როცა ითქვა უახლოეს ამოცანებზე, წლევანდელი ჩემპიონატის პრობლემებს დავუბრუნდეთ. ჩვენი აზრით, მათ შორის უმთავრესი იქნება არაორგანიზებულობა.

საქმე შემდეგნაირადაა: აქამდე „მამლუქთა" გუნდების გარდა, არავის უწევდა სათამაშოდ სხვა ქალაქს გამგზავრება, სტუმრებისა და მსაჯების დახვედრა, დაბინავება, სტადიონზე მიყვანა. ამიტომ ნუ გაგვიკვირდება, თუ ჩემპიონატი ამ მხრივ მრავალ ნაკლს წარმოაჩენს. თუმცა ისიც საფიქრებელია, რომ კლუბადქცეული რამდენიმე გუნდი ყოველმხრივ ეცდება, საქმითაც მოიწონოს თავი.

უთუოდ გასათვალისწინებელია შეჯიბრებისადმი მონაწილეთა განსხვავებული დამოკიდებულებაც. თუ თამაშს მონატრებულ გუნდებს ეროვნული ჩემპიონატის შემოღება მხოლოდ ახარებთ, „მამლუქები", თავად რამდენიც უნდა გვარწმუნონ, „ჩვენზე მეტად, აბა, ვის სურდა საშინაო შეჯიბრებებში გამოსვლა"-ო, გუნებაში მაინც წყევლა-კრულვას შეუთვლიან ამ საქმეში მათ ჩამბმელებს და თვალი, პირველ ხანებში მაინც, ისევ „დიდი რუსეთისაკენ" ეჭირებათ, ზოგიერთ მატჩს სასხვათაშორისოდაც მოეკიდებიან და, ალბათ, წაიმედიდურებენ კიდეც. აქვე, ჩვენი ოპონენტების გასაგონად ვიტყვით, რომ გულით გავიხარებთ, თუკი ამ საკითხში გავმტყუნდებით!



პრობლემაა თამაშებზე მაყურებლის მოზიდვაც, მითუმეტეს — ქალაქგარეთ მდებარე სტადიონებზე, რადგანაც თბილისში გასამართ თამაშთა ნახევარზე მეტს ვაკის („ლოკომოტივის") სტადიონი, ალბათ, ვერ აუვა. მოსაგვარებელი იქნება შეჯიბრების გაშუქების საკითხიც. უეჭველია, „ლელო", რაგბის კავშირისა და თავად მონაწილეთა შემწეობით, ამჯერადაც პირნათლად გაართმევს თავს ამოცანას. აი, საქართველოს ტელევიზია კი, თუკი ბოლოსდაბოლოს მოიბრუნებს გულს რაგბიზე და თვეში თითო თამაშის რეპორტაჟს მაინც შესთავაზებს მაყურებელს, ფრიად კარგ სამსახურს გაგვიწევს.

არანაკლებ საჭირბოროტოა კიდევ ერთი, ერთი შეხედვით, ანეკდოტური საკითხი, რომელსაც სახელად „არასერიოზულობა" და „პროვინციალიზმი" ერთნაირად მოუხდებოდა. ასე მაგალითად, საკავშირო შეჯიბრებების სიყალბეჩვეულ ზოგიერთ მოღვაწეს ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი თამაშის ოქმში აშკარა ტყუილის ჩაწერა. მსაჯებსაც ეზარებათ ხოლმე ოქმის შევსება. ისეც მომხდარა, რომ თამაში დამთავრებულა — და ზუსტი ანგარიში არც ერთ გუნდს არ სცოდნია. რაც შეეხება გუნდების ტანისამოსს, აქ კარგ ტონად ითვლება, თუ მოთამაშეებს ნომრები არეულად ეწერებათ — მორკინალს სამმეოთხედელის ნომრიანი კვართი და პირიქით. და კიდევ ერთი: „მამლუქთა" ზოგიერთი ხელმძღვანელი ჯერაც ფიქრობს, რომ ეროვნული ჩემპიონატის შეხვედრები იმიტომ ეწყობა, სსრ კავშირის ჩემპიონატისათვის უკეთ რომ მოემზადო. ამიტომ, მათი აზრით, შეიძლება მისაღები იყოს ამ თამაშების გამართვა საქართველოს საზღვრებს გარეთაც (?!), სავარჯიშო, დაუხაზავ და ფეხბურთის კარიან მოედნებზე. თანაც, თუ, მაგალითად, უნივერსიტეტის გუნდთან შეხვედრის დროს გაწვიმდა, თამაში მყის უნდა შეწყდეს, „სლავასთან" ან „ფილისთან" მომავალი შეხვედრისათვის რომ არ „გაფუჭდეს" მოედანი. ერთი სიტყვით, ამაზეა ნათქვამი, „შეაყარე კედელს ცერცვიო!"

და მაინც, საქმე, ალბათ, არც ისე ცუდადაა, როგორც წარმოვაჩინეთ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ წესრიგის დაცვას ფრიად გამოადგება შეჯიბრების დებულებაში შეტანილი ფულადი ჯარიმების სისტემა. საქმე ისაა, რომ ყველა ზემოჩამოთვლილი დარღვევისათვის გუნდს იმდენად „უხვი" ჯარიმა ეკისრება, რომ, საერთო აზრით, წესებისა და დებულების დარღვევის ხალისი ყველას ერთიანად უნდა დაეკარგოს.

ჩვენც რაღა დაგვრჩენია: იმედით უნდა განვიმსჭვალოთ, მოთმინებასა და შემწყნარებლობას მოვუხმოთ და ეროვნული ჩემპიონატის სვლის კვალად „ცდომილთა" „მორჯულებას", „ღირსეულთა" „განძლიერებასა" და ჭეშმარიტად სარაგბო სულის დამკვიდრებას ვეცადოთ!

**ზაალ ბიბინეიშვილი.**

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე მორაგბეთა გუნდების საყურადღებოდ!

სსრ კავშირის ჩემპიონატის კალენდარში შეტანილი ცვლილებების გამო, იცვლება ეროვნული ჩემპიონატის ორი შეხვედრის გამართვის თარიღი. „ა" ქვეჯგუფში „აია" — „მიმინოს" მატჩი 3 აპრილის მაგივრად გაიმართება 15 მაისს, „ბ" ქვეჯგუფში კი „ელმავალ" — ზოოვეტის თამაში 12 მაისიდან გადატანილია 14 მაისისათვის.

რაგბის კავშირის საშეჯიბრებო კომიტეტი ეროვნული ჩემპიონატის მონაწილეებსა და მათ მეპატრონეებს შეახსენებს, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის აუცილებელი თანხა მარტის ბოლომდე გადარიცხონ კავშირის ანგარიშზე. გარდა ამისა, კომიტეტი გუნდებისაგან მოითხოვს დებულების განუხრელად დაცვას და ეროვნული ჩემპიონატის განრიგისადმი სსრ კავშირის ჩემპიონატისათვის მზადების პროგრამის ყოველ მიზეზგარეშე დაქვემდებარებას.

**საქართველოს რაგბის კავშირი.**

# სანამ ნაკრები ჩამოყალიბდება

**სპორტკომპლექს** „ბურევესტნიკში" ჩატარდა თბილისის პირველი ჩემპიონატი კარატეში. ტურნირის ორგანიზატორი იყო ქართული და აღმოსავლური ორთაბრძოლების ასოციაცია, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ, რთულ და დაძაბულ ვითარებაში, ფინანსური ხელმოკლეობის პირობებში მაინც ახერხებს თავისი ძირითადი დანიშნულების — სულიერად მტკიცე და ფიზიკურად ძლიერი, საბრძოლო სულისკვეთების მქონე ახალგაზრდობის აღზრდას. ამ ბოლო ხანს ეს უკვე მესამე მასობრივი ღონისძიებაა, რომელიც ასოციაციამ ჩაატარა: თბილისის ღია პირველობა ჭაბუკთა შორის (დეკემბერში), ასოციაციის ახალგაზრდა წევრის, ტრაგიკულად დაღუპული ხვიჩა დიდებაშვილის ხსოვნის ტურნირი თიანეთში და ბოლოს — თბილისის პირველობა. ეს პირველობა მიზნად ისახავდა ორი კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტას: იმ ძალების დათვალიერებას, რომლებიც დღეს თბილისში არის და ქალაქის ნაკრების ჩამოყალიბებას, რომელიც საქართველოს პირველობაზე წარსდგება. პირველი ამოცანის გადაწყვეტამ განსაზღვრა ტურნირის თავისებურებაც: სპორტსმენებს შესაძლებლობა მიეცათ ორ წაგებამდე ებრძოლათ. მიუხედავად იმ სიმძაფრისა, რაც სწორედ ამ თავისებურებით იყო განპირობებული, ტურნირის წარმატებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის, რომ ასპარეზზე ასზე მეტი სპორტსმენი ვიხილეთ. მეტიც, ზოგიერთი ორგანიზაციული უზუსტობა რომ არა, მონაწილეთა რიცხვი გაცილებით მეტი იქნებოდა. რაც შეეხება მეორე ამოცანას, მისი გადაჭრა გადაიდო შეჯიბრებისწინა შეკრების დამთავრებამდე, სადაც ოცდახუთი სპორტსმენია მიწვეული. ეს ბუნებრივიცაა, სპორტსმენთა საერთო დონე საკმაოდ მაღალია და გამოკვეთილი ლიდერის დასახელება ერთობ ძნელია. შეჯიბრება სხვა მხრივაც იყო საინტერესო — იგი კარგი გამოცდა აღმოჩნდა ჩვენი მსაჯთა კორპუსისთვისაც, რომელიც ასევე ნაბიჯ-ნაბიჯ იმაღლებს კვალიფიკაციას.

შეჯიბრების ტექნიკური შედეგები კი ასეთი გახლავთ: **60 კგ-მდე:** 1. გ. თოთიბაძე, 2. ჯ. კინწურაშვილი, 3. დ. კურატაშვილი; **65 კგ-მდე:** 1. ჯ. ტაჟდინოვი, 2. ს. ლაითიძე, 3. რ. ჩაჩუა; **70 კგ-მდე:** 1. ქ. შარტავა, 2. გ. კვალიაშვილი, 3. გ. ბარამიძე; **75 კგ-მდე:** 1. გ. ჯავახია, 2. მ. მახარაძე, 3. ი. კოპაძე; **80 კგ-მდე:** 1. გ. ჭელიძე, 2. ა. სეხნიაშვილი, 3. რ. ხუდოიანი; **85 კგ-მდე:** 1. გ. ხვედელიანი, 2. ვ. თუშმალიშვილი, 3. ლ. ვარდიაშვილი; **+85 კგ:** 1. დ. მოდებაძე, 2. დ. კაპანაძე, 3. მ. ნავდარაშვილი.

აბსოლუტური ჩემპიონი გახდა ზეზვა ქერაშვილი.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ 26 მარტს თბილისის ნაკრების კანდიდატები შეუდგნენ მზადებას საქართველოს პირველობისთვის, რომელიც 2 და 3 აპრილს გაიმართება თბილისის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში.

# ყველაზე მეტი ჯილდო — მასპინძლებს

(დასასრული)

ლგაზრდა მოჭიდავეებმა კი მიიღეს მდიდარი გამოცდილება, მწვრთნელებს, თავის მხრივ, საშუალება მიეცათ კიდევ ერთხელ შეემოწმებინათ თავიანთი ძიუდოისტების ძალა, მათი სამომავლო პერსპექტივა.

**ლევან ჯავახიშვილი.**

**ქვარცხლბეკი**

**ვაჟები: 48 კგ.** 1. მ. ბექაური, 2. ქ. გველესიანი, 3. გ. ოძელაშვილი და მ. როსტიაშვილი (ყველა — საქართველო).

**90 კგ.** თ. ცოფურაშვილი, 2. ი. ჯალაბაძე, 3. პ. ჭკუასელი (სამივე — საქართველო) და რ. პოზნერი (გფრ).

**+90 კგ.** 1. ქ. გუჯეჯიანი, 2. დ. ჭელიძე, 3. ზ. ტვილდიანი და კ. გამხატაძე (ყველა — საქართველო).

**გოგოები: 65 კგ.** 1. მ. გობეჯიშვილი, 2. ო. ვორობიოვა (სსრკ), 3. ი. მელიქიშვილი (საქართველო) და მ. შვიინდკევიჩი.

**70 კგ.** 1. ე. [illegible]შვილი (საქართველო), 2. ო. მიგდალოვა, 3. ვ. სკიდინა და ე. ტკაჩუკი (ორივე — სსრკ).

**75 კგ.** 1. ნ. მარჯანიშვილი (საქართველო), 2. ნ. კოტევნიკოვა (სსრკ) (მეტი მონაწილე არ ყოფილა).

**+75 კგ.** 1. ნ. ქუცნიაშვილი (საქართველო), 2. ო. კოვალენკო (სსრკ) 3. თ. დონღუზაშვილი და ნ. ცისკარიშვილი (ორივე — საქართველო).

**აბსოლუტური.** 1. ნ. ქუცნიაშვილი 2. ნ. მარჯანიშვილი, 3. ნ. კოტევნიკოვა და ო. კოვალენკო (ორივე — სსრკ).

# ყაიმი... მეათე სვლაზე

**ტყიბულის** საჭადრაკო-საშაშო კლუბში დასასრულს უახლოვდება საქართველოს I ლიგის მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატი.

**XI ტურში** საინტერესო გამოდგა ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლების ხვიჩა სუპატაშვილისა და გივი გოგიჩაიშვილის შეხვედრა. სუპატაშვილმა დაკარგა ჯერ ერთი, შემდეგ კი მეორე პაიკი და თავი დამარცხებულად სცნო.

თოთხმეტ სვლაში დაზავდნენ კახა შალამბერიძე და ნუკრი მანაგაძე.

ამ ტურის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: მანაშეროვი — იაშვილი 0:1, კუჭუხიძე — გოგეშვილი 1:0, იგრიაშვილი — მელქონიანი 0:1, სიჭინავა — ფორჩხიძე 1:0, ბერაძე — ლეკვეიშვილი 0,5:0,5, ლაზარაშვილი-პოპოვი 0,5:0,5.

**მეთორმეტე ტურში** პირველი დამარცხება იწვნია ერთ-ერთმა ლიდერმა იანის პოპოვმა. მას ხვიჩა სუპატაშვილმა მოუგო. გივი გოგიჩაიშვილი და კახა შალამბერიძე მეათე (!) სვლიზე ყაიმზე შეთანხმდნენ.

სხვა პარტიების ტექნიკური შედეგები ასეთია: ფორჩხიძე — ლაზარაშვილი 1:0, კეკელიძე — ბერაძე 1:0, გოგეშვილი — სიჭინავა 0:1, იაშვილი — იგრიაშვილი 1:0, ლეკვეიშვილი — მანაშეროვი 0:1, მელქონიანი — კუჭუხიძე 0,5:0,5.

**მეცამეტე ტურში** მეშვიდე გამარჯვება მოიპოვა ხვიჩა სუპატაშვილმა, რომელმაც თეთრი ფიგურებით ტყიბულის მესამე საშუალო სკოლის XI-კლასელი დავით ფორჩხიძე დაამარცხა.

დაზავდნენ კახა შალამბერიძე და იანის პოპოვი.

ამ ტურის სხვა პარტიები ასე დამთავრდა: მანაშეროვი — კეკელიძე 0:1, კუჭუხიძე — იაშვილი 1:0, იგრიაშვილი — ლეკვეიშვილი 1:0, სიჭინავა — მელქონიანი 0,5:0,5, ლაზარაშვილი — გოგეშვილი 0,5:0,5, მანაგაძე — გოგიჩაიშვილი 0,5:0,5.

გადადებული პარტიების დამთავრებისას ყაიმით დამთავრდა მანაშეროვ — გოგეშვილისა და მელქონიან — მანაშეროვის პარტიები.

ცამეტი ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფი ასე გამოიყურება: კახა შალამბერიძე 9,5 (12 შესაძლებლიდან), გივი გოგიჩაიშვილი (ორივე — თბილისი) — 9,5, ხვიჩა სუპატაშვილი (ქუთაისი) — 9 (12-დან), იანის პოპოვი (თბილისი) — 9, ნუკრი მანაგაძე (ქუთაისი) — 8,5 (12-დან), ფელიქს მელქონიანი (ბათუმი) — 8 (12-დან).

**ვახილ ვაშაკიძე,**
**ტელეფონით. „ლელოს" ხპეც. კორ.**

ტყიბული.

# ჩვენი პოზიცია ურყევია!

**გუშინ,** დილით, მოსკოვიდან ცენტრალური ტელევიზიით გადმოსცეს ტრადიციული კვირეული საფეხბურთო მიმოხილვა, რომლის ერთ-ერთი სიუჟეტი გახლდათ კომენტატორ ვლადიმერ მასლაჩენკოს ინტერვიუ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარესთან ვ. კოლოსკოვთან. კომენტატორის შეკითხვაზე, თუ როგორი იქნება საქართველოს დამოუკიდებელი ფეხბურთის ფედერაციის შემდგომი პოზიცია, როგორ წარიმართება საქართველოს უმაღლესი და პირველი ლიგების გუნდების მონაწილეობის საქმე საკავშირო გათამაშებებში (ხომ ცნობილია, რომ თბილისის „დინამომ“ და ლანჩხუთის „გურიამ“ უკვე გამოტოვეს სსრ კავშირის ჩემპიონატისა და თასის გათამაშების რამდენიმე შეხვედრა), ვ. კოლოსკოვმა განაცხადა:

— 29 მარტს, მოსკოვში კვლავ ვიწვევთ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომა, სადაც საგანგებოდ უნდა განვიხილოთ საქართველოსა და ლიტვის გუნდების საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობის საკითხი. ჩვენი პოზიცია ასეთია: ყოველნაირად შევეცდებით, ჩავაცხროთ კონფლიქტი და საქართველოსა და ლიტვის გუნდებს მივცეთ საკავშირო შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლება, მაგრამ ეს მოხდება მხოლოდ იმ პირობით, თუ განვლილ მატჩებში, რომლებიც თბილისის „დინამომ“, ლანჩხუთის „გურიამ“ და ვილნიუსის „ჟალგირისმა“ გააცდინეს, მათ დაეწერებათ დამარცხებები ანგარიშით 0:3, დანარჩენ მეტოქეებთან კი ეს გუნდები ითამაშებენ ჩვეულებისამებრ, არსებული კალენდრის შესაბამისად.

გარდა ამისა, ვ. კოლოსკოვმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ასეთი იზოლაციის შემთხვევაში ვერ გავა საერთაშორისო საფეხბურთო სარბიელზე, არც ერთ საზღვარგარეთულ გუნდს, იქნება ეს ნაკრები, თუ საკლუბო გუნდი, უფლება არ ექნება ჩამოვიდეს საქართველოში და არც თავის მინდორზე მიიღოს საქართველოს გუნდი.

როგორც ხედავთ, ვ. კოლოსკოვის პოზიცია პრინციპულია, მის განცხადებაში მუქარაც სჭვივის. კომპრომისი მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ თბილისის „დინამოს“ საკავშირო ჩემპიონატში ხარკოვის „მეტალისტთან“ წაგება ჩაეთვალოს ანგარიშით 0:3, ასევე მოსკოვის „სპარტაკთან“, დონეცკის „შახტიორთან“, კიევის „დინამოსთან“, ხოლო ლანჩხუთის „გურიას“ — ვილნიუსის „ჟალგირისთან“, მინსკის „დინამოსთან“, ვოლგოგრადის „როტორთან“, მოსკოვის „ტორპედოსთან“.

ვ. კოლოსკოვმა მოიყვანა, აგრეთვე, სოხუმის „დინამოს“ მწვრთნელის ო. დოლმატოვის განცხადება იმის თაობაზე, რომ სოხუმის დინამოელები მაინც აპირებენ I ლიგის საკავშირო გათამაშებაში მონაწილეობის მიღებას და, ეტყობა, მათ დაუშვებენ ამ შეჯიბრებაში.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის ამ განცხადებაში ყველაფერი ნათლადაა ნათქვამი. აშკარად ჩანს ამჟამად არსებული მოვლენებისადმი საკავშირო ფედერაციის დამოკიდებულება. ამიტომ, „ლელოს“ კორესპონდენტმა კომენტარი სთხოვა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს **ნ. ახალკაცს:**

**— ვ. კოლოსკოვს ახალი არაფერი უთქვამს, — განაცხადა ნ. ახალკაცმა, — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელმა ყრილობამ თითქმის ერთხულოვნად მიიღო კატეგორიული, კონკრეტული, შეუვალი გადაწყვეტილება, რომლის შეცვლის უფლებაც არავისა აქვს. ჩვენ გავემიჯნეთ საკავშირო ფეხბურთს, ამ მაგალითს ლიტვისა და მოლდავეთის ფედერაციებმაც მიბაძეს და მოსალოდნელია განდგომილთა რიცხვი მომავალში კიდევ უფრო გაიზარდოს. ასეთ ვითარებაში მთავარია არა საკავშირო ფედერაციის, არამედ ჩვენი გადაწყვეტილების პრინციპულობა. ჩვენ უარი ვთქვით საკავშირო შეჯიბრებებში მონაწილეობაზე და ამ გადაწყვეტილებას არ შევცვლით არავითარ შემთხვევაში.**

# განმარტება ერთი განცხადების გამო

ამა წლის 25 მარტს მთავრობის სასახლესთან ჩატარებული მრავალათასიანი მიტინგი ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარემ ირაკლი წერეთელმა დაამთავრა სიტყვებით: „საქართველოს არსებული ხელისუფლება ყოველნაირად ხელს უშლის ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებას და ცდილობს მის ჩაშლას“, რის შემდეგაც მოუწოდა ხალხს დასწრებოდნენ საქართველოს ჩემპიონატის საზეიმო გახსნას თბილისის ცენტრალურ სტადიონზე.

ამ განცხადებამ ჩემში გაკვირვების გრძნობა გამოიწვია და აი რატომ. მე მქონდა შესაძლებლობა გამომეთქვა ჩემი აზრი საქართველოს ფეხბურთის ყრილობაზე, სადაც აღვნიშნე, რომ ამ ეტაპზე ნაჩქარევად მიმაჩნდა სსრ კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარის თქმა, რომ ასეთ ნაბიჯამდე საერთაშორისო ფედერაციებში უახლოეს მომავალში გაერთიანების გარანტია უნდა შეგვექმნა, რათა ფეხბურთის განვითარების სტიმული, რომლის მიზანი მუდამ იყო უმაღლესი მწვერვალების დაპყრობა, დიდი ხნით არ შეფერხებულიყო. გამოვთქვი მოსაზრება მოსკოვთან კონფრონტაციაზე წასვლამდე ამ საკითხში მისი მხარდაჭერის მოსაპოვებლად გადაგვედგა ნაბიჯი, რადგან ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, რომლებიც რესპუბლიკების სუვერენიტეტის გაღრმავებასაც გულისხმობს, ამ მოსაზრების წისქვილზე ასხამს წყალს. ვინაიდან ე. წ. „ოფიციოზიდან“ მხოლოდ მე მომიწია გამოსვლამ (თუმცა მე არა ვარ მთავრობის წარმომადგენელი), შეიძლება ითქვას ეს მოსაზრება ბევრმა არსებული ხელისუფლების საერთო აზრადაც აღიქვა.

როგორც მოგეხსენებათ, ყრილობამ (უმეტესობამ) არ გაიზიარა ეს მოსაზრება და გადაწყდა დაუყოვნებლივ უარი ვთქვათ სსრკ ჩემპიონატში საქართველოს გუნდების მონაწილეობაზე.

კამათი ამ საკითხის გარშემო შეიძლებოდა გადაწყვეტილებამდე. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კი იგი უაზრობაა და გამართლება მხოლოდ ამ გადაწყვეტილების ხორცშესხმისათვის ზრუნვას აქვს.

ამ შეგნებით ვარ დღეს განწყობილი და არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ იგივე განწყობა აქვთ საქართველოს არსებული ხელისუფლების წარმომადგენლებსაც. ამაზე ფაქტებიც მეტყველებს: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის ვიზიტი მოსკოვში ფიფას გენერალურ მდივან ბლატერთან შესახვედრად. საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ვ. ლორთქიფანიძის თავკაცობამ ამ დელეგაციას ოფიციალური, სამთავრობო ხასიათი მისცა. ბლატერს არ ჰქონდა დაგეგმილი საქართველოს დელეგაციის მიღება, მაგრამ როგორც გაზეთმა „ლელომ“ და ბატონმა ნ. ახალკაცმა აღნიშნეს, ესეც მოხერხდა საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის გ. გუმბარიძის აქტიური ხელშეწყობით. 20 მარტს ბატონ ვ. ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით ჩატარდა თათბირი, სადაც განხილულ იქნა ეროვნულ ჩემპიონატთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები და მსვლელობა ... საკითხების გადაწყვეტა. ყოველივე ამას დავუმატოთ ის მხარდაჭერა, რომელსაც მუშა ვითარებაში უწევენ დამოუკიდებელ ფედერაციას იგივე საქართველოს მინისტრთა საბჭო, საქართველოს სპორტსახკომი, სხვა სპორტული ორგანიზაციები. მხარდაჭერა არც რაიონებისა და ქალაქების ხელმძღვანელებისაგან აკლიათ საფეხბურთო გუნდებს და ამის შესახებ არაერთხელ აღნიშნეს თვით გუნდების წარმომადგენლებმა. ეროვნული ჩემპიონატისათვის მზადება შუქდება მასობრივ ინფორმაციათა საშუალებებით.

აი, რატომ გამოიწვია გაკვირვების გრძნობა და ამასთან, გულის ტკენა ჩემში ამ განცხადებამ. ბუნებრივია, ვიფიქრე, იქნებ მხარში დგომასთან ერთად იგივე ორგანიზაციებმა მართლა ხელი შეუშალეს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს. ამიტომ ამის შესახებ ვკითხე ამ ორგანიზაციათა წარმომადგენლებს. მათ დამიდასტურეს ასეთი ბრალდების უსაფუძვლობა, რის შემდეგაც, უფლება მივეცი ჩემს თავს დამეწერა ეს განმარტება იმ ათასობით ადამიანისათვის, ვინც ესწრებოდა მიტინგს, ხოლო ი. წერეთლისათვის მეთხოვა, რომ არასწორ ინფორმაციებზე დაყრდნობით მომავალში მაინც უსაფუძვლოდ ნუ დავდებთ ბრალს ერთმანეთს.

**გოგი მაჭავარიანი**,
**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.**

### სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

**სსრ კავშირის** 1990 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის IV ტურის შეხვედრები 24 მარტს დამთავრდა ასეთი შედეგებით: „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „პამირი“ (დუშანბე) 1:0, „როტორი“ (ვოლგოგრადი)— „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 0:2, „მეტალისტი“ (ხარკოვი)— ცსკა 0:1, „შახტიორი“ (დონეცკი) — „არარატი“ (ერევანი) 1:0, „დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (მოსკოვი) — 0:0.

გათამაშებას ლიდერობენ მოსკოვის სპარტაკელები, რომლებმაც 3 მატჩში 6 ქულა დააგროვეს. ამდენივე ქულა აქვს ოდესის „ჩერნომორეცს“, მაგრამ ოდესელებმა ერთი მატჩით მეტი ჩაატარეს, მესამე ადგილზეა ცსკა — 5 ქულა.

### დანიელთა ახალი ხელმძღვანელი

**დანიის** ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნეს 52 წლის რიჩარდ მელერ-ნილსენი, რომელიც ამ პოსტზე ყოფილი მწვრთნელის ზეპ პიონტეკის თანაშემწედ მუშაობდა. რ. მელერ-ნილსენი ბოლო ხანებში ხელმძღვანელობდა დანიის ოლიმპიურ და ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებს, 1986 წლიდან კი ეხმარებოდა ზ. პიონტეკს. კონტრაქტი 4 წლითაა განსაზღვრული.

# ფეხბურთშიც მე საქართველო მიყვარს

„დღევანდელ მატჩს 74.200 მაყურებელი ესწრება“!

სტადიონის ტაბლოზე ანთებულ ამ ციფრებს ორგვარი გრძნობით ვხვდები: ჯერ ერთი, ფეხბურთის დიდი მოყვარული ვარ და არა უბრალო მაყურებელი, მეორეც — უწინ თამაშს ბევრი უბილეთო ადამიანი უყურებდა: ერთნი სხვადასხვა ფორმის მეშვეობით, მეორენი — თანამდებობის საშუალებით, მესამენი — ნაცნობების დახმარებით, მეოთხენი... მანეთიანებით, კარებში მდგომ კონტროლიორს რომ „ჩაუჯიბავდნენ“ ხოლმე.

ასეთ რამეს ნამდვილი გულშემატკივარი არ კადრულობდა არასოდეს. ვფიქრობ, დღეს არც მაყურებელმა არ უნდა ჩაიდინოს ეს. იმიტომ, რომ ქართული ფეხბურთი დამოუკიდებელია.

გუშინ მაყურებელს შეეძლო დასწრებოდა ან არ დასწრებოდა მატჩს. მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამინდს, მანძილს, ტრანსპორტს, ტელერადიო რეპორტაჟს, თამაში ამხანაგური, კალენდარული თუ საერთაშორისო იყო, ძირითადი შემადგენლობა ასპარეზობდა თუ სათადარიგო. დღეს იგი ისევე უნდა მოიქცეს, როგორც ის გულშემატკივარი, რომლის არჩევანი ადამისას ჰგავდა — ერთი ევა რომ მიუყვანეს და აირჩიე ცოლიო, რომ შესთავაზეს.

გულშემატკივარი ყველგან და ყოველთვის გუნდთან არის. იმიტომ, რომ ბინაში, ყველაზე რბილი დივანიც კი ნემსებით ჩხვლეტს, ფერადი ტელევიზორიც კი მწვანე მინდორს რატომღაც გახუნებულად უჩვენებს; თვალებში სინათლის ნაკლებობას გრძნობს, ყურებში — სმენისას.

გულშემატკივარს ბინის სიმყუდროვეს სტადიონის გამაყრუებელი ყიჟინი ურჩევნია, მარტოობას — ხალხმრავლობა, ნაცნობებს — უცნობები, ერთი-ორი სიტყვის შემდეგ ძმები რომ ხდებიან. იმიტომ რომ, ისინი ფეხბურთზე, ფეხბურთისთვის დადიან და კიდევ იმიტომ, რომ მათ ფეხბურთშიც საქართველო უყვართ.

აი, რატომ ვფიქრობ, რომ დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთს გულშემატკივარი არ დააკლდება, მაყურებლებს შორის კი 1990 წელი გვაჩვენებს, ვინ ფეხბურთი ითამაშა და ვინ ფეხბურთით.

„ყველანი სტადიონისკენ“ —აი, ჩვენი დამოუკიდებელი ფეხბურთის შესაფერი ლოზუნგი.

ამ „ყველაში“ ქალებსაც ვგულისხმობ. ისინი არამარტო ოჯახებს, არამედ სტადიონებსაც დაამშვენებენ, ხიბლსა და რომანტიკას შემატებენ, ჩვენ, მამაკაცებს კი უწმაწური სიტყვებისგან გაგვათავისუფლებენ, გინებას დაგვავიწყებენ. ქალთა სიმრავლე მაყურებელთა შორის ერის კულტურაზე, მის შეგნებულობაზე მეტყველებს.

ჩვენს გულშემატკივარზე ბევრი ტკბილი სიტყვა თქმულა, უამრავი ქება დაწერილა: სტუმართმოყვარე თბილისი... ტემპერამენტიანი ქართველი მაყურებელი... არასდროს კარგავს ზომიერების გრძნობას.

ვერ დავმალავ, ასეთი შეფასება მეამაყებოდა.

ვერც იმას დავმალავ, გადაჭარბებული მეჩვენებოდა, დღესაც ვერ გამიგია, რატომ ვუსტვენდით ყველაზე ტიტულოვან გუნდებს, უმოწყალოდ ვაგინებდით ყველაზე ნიჭიერ ფეხბურთელებს, ლანძღვას ვუგზავნიდით ხშირად უდანაშაულო მსაჯებს.

წელს — გუნდებიც, მოთამაშეებიც, მსაჯებიც ქართველები ან საქართველოდან იქნებიან.

იმედია, ჩვენი მათდამი დამოკიდებულებაც შეიცვლება. გინების მაგიერ მხარდაჭერა, რათა თბილისის გუნდებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიონ. გამარჯვების ფასი ხომ დამარცხებულის ძალით იზომება! ჯერ კიდევ გუშინ ჩვენი გუნდები ისე ეთამაშებოდნენ ერთმანეთს, როგორც მოსისხლე მტრები. მოედანი ბრძოლის ველს უფრო ჰგავდა, სტადიონის ტრიბუნები — გულშემატკივართა მუშტიკრივის არენას.

მაგალითისთვის, თუნდაც ლანჩხუთი და ბათუმი გვეყოფა: არც თუ იშვიათად ისმოდა მოწოდებები: „ფეხი მოტეხე მაგ უპატრონოს“, „დაარტყი მაგის...“

ქართველი ქართველის დასახიჩრებას ლამობდა?

მჯერა, რომ დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთი „მტრებს“ მოყვრებად გახდის, გათიშულებს ერთმუშტად შეგვკრავს. ვოცნებობ ისეთ ფეხბურთზე, რომელშიც ყველგან და ყოველთვის სპორტული პრინციპი იპრინციპებს, თასის ფინალი მხოლოდ ნეიტრალურ მოედანზე გაიმართება, კალენდარი იკალენდრებს. არც ერთი გადატანილი მატჩი! თამაში ერთ დღეს ერთ და იმავე საათებში და კვირაში ერთხელ. დაე, ყველამ იცოდეს საქართველოში დღეს ფეხბურთის დღეა. მთელი საქართველო — ფეხბურთზეა!

სულმოუთქმელად ველი პირველ მატჩებს!

**ოთარ გუმბერიძე**

# რუმინელთა გეგმები

**რუმინეთის** ნაკრები, რომელიც საბჭოთა ფეხბურთელების მეტოქეა იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის ქვეჯგუფში, 31 მაისს იტალიაში ჩავა, სადაც მზადების ბოლო ეტაპს გაივლის. უშუალოდ ჩემპიონატის დაწყების წინ რუმინეთის ნაკრები ამხანაგურ მატჩს გამართავს იტალიის ჩემპიონატის მეორე დივიზიონში მოასპარეზე კლუბ „აველინოსთან“.

### საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

**გაიმართა უცხოეთის საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები.**

**იტალია**

**29-ე ტური.** „ბარი“ — „ატლანტა“ 4:0, „ვერონა“ — „ბოლონია“ 3:2, „ასკოლი“ — „ფიორენტინა“ 2:1, „სამპდორია“ — „ნაპოლი“ 2:1, „ლაციო“ — „რომა“ 0:1, „ჩეზენა“ — „ჯენოვა“ 1:1, „მილანი“ — „ინტერი“ 1:3, „კრემონეზე“ — „ლეჩე“ 1:1, „იუვენტუსი“ — „უდინეზე“ 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „მილანი“ | 29 | 48-24 | 42 |
| „ნაპოლი“ | 29 | 44-28 | 41 |
| „სამპდორია“ | 29 | 42-24 | 38 |

**არგენტინა**

**26-ე ტური.** „უნიონი“ — „ინსტიტუტო“ 2:1, „არგენტინოს ხუნიორსი“ — „ინდეპენდიენტე“ 2:1, „ბოკა ხუნიორსი“ — „ესტუდიანტესი“ 2:1, „რესინგი“ (ბუენოს-აირესი) — „რივერ პლეიტი“ 0:1, „პლატენსე“ — „ფეროკარილი“ 1:0, „ნიუელს ოლდ ბოისი“ — „მანდიუ“ 3:0, „სან ლორენსო“ — „ველეზ სარსფილდი“. 2:0, „ტალერესი“— „დეპორტივო ესპანიოლი“ 3:1, „გიმნასია“ — „როსარიო სენტრალი“ 0:0, „ჩაკო ფორ ევერ“ — „რესინგ კორდობა“ 1:1.

| | | |
|---|---|---|
| „ინდეპენდიენტე“ | 26 | 34 |
| „რივერ პლეიტი“ | 26 | 34 |
| „როსარიო სენტრალი“ | 26 | 32 |

**ესპანეთი**

**30-ე ტური.** „მალაგა“ — „ვალიადოლიდი“ 0:1, „ბილბაო“ — „რეალი“ 1:1, „სელტა“ — „ვალეკანო“ 0:0, „ლოგრონიესი“ — „ბარსელონა“ 1:2, „ატლეტიკო“—„მაიორკა“ 2:0, „ხიხონი“ — „კასტელონი“ 0:0, „ვალენსია“ — „ოვიედო“ 3:0, „კადისი“ — „ოსასუნა“ 0:0, „სევილია“ — „სარაგოსა“ 4:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეალი“ | 30 | 85-28 | 49 |
| „ბარსელონა“ | 30 | 69-31 | 40 |
| „ვალენსია“ | 30 | 50-35 | 40 |

**საფრანგეთი**

**30-ე ტური.** „ლიონი“ — „ბრესტი“ 0:0, „ნანტი“ — „ლილი“ 1:0, „მეცი“ — „მონპელიე“ 1:0, „ბორდო“ — „მონაკო“ 0:0, „ოსერი“ — „სენტ ეტიენი“ 2:1, „ტულუზა“— „სოშო“ 0:0, „ნიცა“ — „რესინგი“ 2:0, „სენ ჟერმენი“ — „კანი“ 5:1, „მულუზი“ — „კაენი“ 0:0, „მარსელი“ — „ტულონი“ 3:0. გამოტოვებული მატჩები: „სოშო“ — „მარსელი“ 0:2, „ლიონი“ — „ნანტი“ 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბორდო“ | 30 | 42-20 | 42 |
| „მარსელი“ | 29 | 59-25 | 41 |
| „მონაკო“ | 30 | 27-18 | 36 |

**პორტუგალია**

**24-ე ტური.** „მადეირა “— „ბელენენსეში“ — 1:0, „სეტუბალი“ — „მადეირა“ 0:0, „გიმარაეში“ — „ბოავიშტა“ 0:1, „პენაფიელი“ — „ბრაგა“ 1:0, „ბეირა მარი“ — „ტირსენსე“ 1:0, „პორტო “— „მარიტიმო“ 4:1, „პორტიმონენსე“— „ბენფიკა“ 2:3, „სპორტინგი“ — „შავიში“ 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „პორტო“ | 24 | 53-9 | 42 |
| „ბენფიკა“ | 24 | 60-11 | 39 |
| „გიმარაეში“ | 24 | 35-15 | 35 |

**გფრ**

**25-ე ტური.** „ლევერკუზენი“ — „ჰამბურგი“ 1:0, „ვერდერი“ — „კიოლნი“ 4:0, „დორტმუნდი“ — „კარლსრუე“ 2:0, „ნიურნბერგი“ — „ჰომბურგი“ 2:0, „სენტ პაული“ — „მანჰეიმი“ 2:1, „დიუსელდორფი“ — „მიონჰენგლადბახი“ 0:1, „იურდინგენი“ — „შტუტგარტი“ 4:1 „კაიზერსლაუტერნი“ — „ბოჰუმი“ 2:1, „ბაიერნი“ — „აინტრაჰტი“ 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბაიერნი“ | 25 | 50-23 | 36 |
| „აინტრაჰტი“ | 25 | 48-29 | 32 |
| „ლევერკუზენი“ | 25 | 33-20 | 32 |

(საქ. ინფ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას წინათ ირკუტსკის რინგზე გამართულ სსრ კავშირის ჩემპიონატში იუნიორთა შორის დიდ წარმატებას მიაღწიეს საქართველოს მოკრივეებმა, კერძოდ, მესტიელმა რამაზ ფალიანმა (48 კგ), თბილისელმა კახა ბარავიმ (54), ფოთელმა პაატა გვასალიამ (57), ქუთაისელმა მათე კოლუაშვილმა (67) და თბილისელმა აკაკი კაკაურიძემ (71), რომლებმაც ქვეყნის ჩემპიონის სახელები მოიპოვეს. მათ თქვენ ახეთივე თანმიმდევრობით ხედავთ სურათებზე.







## მალხაზ ბერუაშვილი — მემორიალის გამარჯვებული

ანატოლი ხარლამპიევის მემორიალს სამბისტთა საერთაშორისო ტურნირების კალენდარში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს და სათანადო პოპულარობითაც სარგებლობს. მოსკოვში ამას წინათ ჩატარებულ რიგით მერვე მემორიალში მონაწილეობა მიიღეს 13 ქვეყნის მოჭიდავეებმა.

მთავარი პრიზი ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ წონაში (მძიმეში) გამარჯვებისთვის მიეკუთვნა თბილისელ ფალავანს მალხაზ ბერუაშვილს, რომელმაც ყველა მეტოქეს დიდი უპირატესობით სძლია: საბჭოთა მოჭიდავეებმა ათიდან რვა წონაში პირველი ადგილები დაისაკუთრეს.

## დავით კაჭარავა, ვლადიმერ გაბრიჩიძე და სერგეი სკაკუნი

კრასნოიარსკი. ალბათ გახსოვთ როგორი სკანდალი გამოიწვია ჩოგბურთელ ქალთა ზამთრის საკავშირო ჩემპიონატში ჩვენი „ვარსკვლავების“ გამოუსვლელობამ. მაშინ, ამ ფაქტმა, სპორტული საზოგადოებრიობის გულისწყრომა გამოიწვია.

ადვილი შესაძლებელია ანალოგიური სიტუაცია განმეორდეს ვაჟთა ტურნირშიც. ზამთრის საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობისთვის აქ ჯერჯერობით უძლიერესთა ათეულის ორი-სამი წარმომადგენელი ჩამოვიდა მხოლოდ. მეტალურგიული ქარხნის დიდებულ კორტზე წინასატურნირო წვრთნა დაამთავრეს და კენჭისყრის მოლოდინში არიან ფავორიტები — თბილისელი ჩოგბურთელები დავით კაჭარავა, ვლადიმერ გაბრიჩიძე და მინსკელი სერგეი სკაკუნი. რაც შეეხება ანდრეი ჩესნოკოვს, ალექსანდრე ვოლკოვს და ანდრეი ჩერკასოვს მათი გამოსვლა ტურნირში კითხვის ნიშნის ქვეშაა.

## ვინ დაეწევა კენიელს?

ჩვენს სპორტით „გაჯერებულ“ დროშიც კი ძნელია მოინახოს ასპარეზობა, რომელიც დაძაბულობითა და გამარჯვების სიძნელით შეედრება მძლეოსან კროსმენთა მსოფლიო ჩემპიონატს, ვაჟთა შორის ერთადერთ დისტანციაზე (მისი სიგრძე 12-დან 12,8 კილომეტრამდეა) საასპარეზოდ გამოდის ყველა: 5 და 10 კილომეტრზე მორბენლები, წინაღობებით რბენის ოსტატები, მარათონლები. მონაწილეთა ამ უზარმაზარ, ნაირფერ მასაში ჩემპიონობა მართლაც საამაყო რამ არის.

წლევანდელ შეჯიბრებას საფრანგეთის ქალაქმა ექს-ლე-ბენმა უმასპინძლა. ამინდი კარგი იყო, ტრასა — მშრალი და ზომიერი და რბენა საოცარი, პირდაპირ საშინელი ტემპით მიმდინარეობდა. მთავარ დისტანციაზე, რომლის სიგრძე 12,2 კილომეტრი იყო, 23 წლის მაროკოელმა ჰალიდ სკახმ ყველასთვის მოულოდნელად დაამხო კენიელთა ბოლოდროინდელი სრული ჰეგემონია და პირველი მიიჭრა ფინიშთან. ვერც მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა კროსში და ოლიმპიურმა ჩემპიონმა (5 კმ) ჯონ ნგუგიმ, ვერც მისმა თანაგუნდელმა მოზეს ტანუიმ და ვერც მსოფლიო რეკორდსმენმა 3 კმ-ზე წინაღობებით რბენაში, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჯონ კარიუკიმ ვერაფერი გააწყვეს ქარივით მქროლავი მაროკოელის წინააღმდეგ. გამარჯვებულის დრო — 34 წუთი და 20,9 წამი — მართლაც საოცარი ჩანს. მას თითო წამით ჩამორჩნენ კენიელები ტანუი და კარიუკი. გუნდური გამარჯვებაც, ცხადია, კენიის ნაკრებმა მოიპოვა.

თბილისელი ოლეგ სტრიჟაკოვი ერთხანს ლიდერთა შორის იყო, მაგრამ მერე ჯოჯოხეთურ ტემპს ვერ გაუძლო და 38-ე ადგილზე დარჩა. ესეც გარკვეული წარმატებაა, თუ გავიხსენებთ, რომ შარშანდელ კროსში რავილ კაშაპოვმა — საუკეთესომ საბჭოთა კავშირის გუნდში — მხოლოდ 74-ე (!) ადგილი დაიკავა.

იუნიორ გოგონათა შორის (4 კმ) სენსაციის „ავტორები“ გახდნენ ჩინელი მორბენლები ლი შინიანი და იან კინლანი, რომლებმაც პირველი და მეორე ადგილები მოიპოვეს, თუმცა გუნდური პირველობა ამ სახეობაშიც კენიელებს ხვდათ წილად, მეორე — ეთიოპიელებს, მესამე — ჩინელებს.

იუნიორ ჭაბუკთა შორის (7.200 მ) პირველი და მეორე ადგილები კენიელებმა კობიო კარიორიმ (22.15,0) და რიჩარდ ჩელიმომ დაიკავეს, მესამე — ეთიოპიელმა ბაისა ჰიტამ. მონაწილეთა შორის საუკეთესო თეთრკანიანმა მორბენალმა მხოლოდ მე-13 (!) ადგილზე შეძლო გასვლა. გუნდური ადგილები ასე განაწილდა. 1. კენია; 2. ეთიოპია; 3. იტალია.

ქალებში (6 კმ) დიდი უპირატესობით გაიმარჯვა ამერიკელმა ლინ ჯენინგსმა — 14.21,4. მეორე ადგილზე გავიდა პორტუგალიელი ალბერტინა დიაში (19.33,0) მესამეზე — ელენა რომანოვა (19,33,0). ქალთა შორის გუნდური პირველობა სსრ კავშირის გუნდმა მოიპოვა. ასპარეზობას 35 ათასი მაყურებელი ადევნებდა თვალს.

## გულდაწყვეტილი ედბერგი

კი-ბისკეინი. აქ მიმდინარე ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის საბოლოო შედეგს ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შვედ სტეფან ედბერგისათვის, რომელიც ვაჟთა ერთეულების ფინალში იყო გასული და გამარჯვების შემთხვევაში მსოფლიო რეიტინგის მეორე საფეხურზე გადაინაცვლებდა. სპეციალისტებს ედბერგის გამარჯვება ამ ტურნირში რეალურად მიაჩნდათ, ვინაიდან მთავარი მეტოქე ამერიკელი ანდრე აგასი მას სხვადასხვა შეჯიბრებებში უკვე სამჯერ ჰყავდა დამარცხებული.

მაგრამ მეოთხე შეხვედრა ედბერგისთვის საბედისწერო გამოდგა. ბრძოლაში, რომელიც 2 საათსა და 7 წუთს გრძელდებოდა შვედი პირწმინდად დამარცხდა აგასისთან — 1:6, 4:6, 6:0, 2:6, ბრძოლის დამთავრების შემდეგ გულდაწყვეტილმა ედბერგმა თქვა:

— ჩემი მთავარი ნაკლი ამ დღეს ის იყო, რომ ერთობ ნელი ტემპით ვთამაშობდი. საქმე მარტო ბურთის მიღება კი არ არის, არამედ მისი მიღება შენთვის ხელსაყრელ პოზიციაში. ამას კი ვერ ვახერხებდი.

ქალთა წყვილების ფინალში ჩეხოსლოვაკიელებმა იანა ნოვოტნამ და ჰელენა სუკოვამ აჯობეს ამერიკელთა დუეტს — ბეტსი ნაიჯელსენსა და რობინ უაიტს — 6:4, 6:3..

### „ფაზისი“ მეთერთმეტეა

იალქნიანი ნავებით მსოფლიოს გარშემო მრავალთვიანი რბოლის — „უიტბრედის“ მონაწილეებმა მეხუთე ეტაპის სტარტზე საკმაოდ მაღალი სისწრაფე განავითარეს. ურუგვაის საკურორტო ქალაქ პუნტა-დელ-ესტეს წყლები ყველაზე სწრაფად ინგლისურმა ნავმა „როტმანსმა“ (შკიპერი — სმითი) განვლო და ხელთ იგდო ლიდერობა, თუმცა, რაიმე პროგნოზის გაკეთება სტარტის მიხედვით ერთობ ძნელია; ჯერ ერთი, ნავებს აშშ-ს პორტ ლოდერდეილამდე (მეხუთე ეტაპის ფინიში სწორედ აქ შედგება) გასავლელი აქვთ 4087 მილი და მეორეც, ოთხი ეტაპის ჯამში რბოლის ერთპიროვნული ლიდერი, ახალი ზელანდიის ნავი „სტეინლაგერი“ ინგლისურ „როტმანსს“ მხოლოდ 20 მილით ჩამორჩება და ამჟამად მეორე ადგილზე იმყოფება.

მეორე ახალზელანდიური ნავი „ფიშერი და პაიკელიც“ იქვეა. რაც შეეხება „ფაზისს“, იგი მეთერთმეტე ადგილზე იმყოფება, მაგრამ ლიდერებს დიდად არ ჩამორჩება.

### ტელეტაიპი - მკითხველს

ბერსი. საფრანგეთის დედაქალაქის გარეუბანში ჩატარდა ტანმოვარჯიშეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელიც მოიგო მინსკელმა სვეტლანა ბოგინსკაიამ, ვაჟთა შორის კი მოსკოველმა ვალენტინ მოგილნიმ. მიმომხილველებმა განსაკუთრებით გამოჰყვეს ქალთა ტურნირში მეორე ადგილზე გასული ამერიკელის კიმ ზმესკალის ოსტატობა. სხვათა შორის, 14 წლის ზმესკალის მწვრთნელია ტანვარჯიშის მსოფლიოში აღიარებული სპეციალისტი ბელა კაროლი, რომელმაც თავის დროზე სახელგანთქმული ნადია კომენეჩი და ლუ რეტონი აღზარდა.

პლანიცა (იუგოსლავია). ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში მსოფლიო თასის ბოლო ეტაპი მოიგო 20 წლის ფინელმა სტუდენტმა არი-პეკა ნიკოლამ (123 მ. და 115 მ). ნიკოლას გამარჯვებით აღინიშნა თასის საბოლოო გათამაშება — 287 ქულა. მომდევნო ადგილები დაიკავეს ავსტრიელმა მფრინავმა მოთხილამურეებმა ერნსტ ვეტორიმ — 239 ქულა და ანდრეას ფელდერმა 236.

ნეშვილი (აშშ). აქ გამართულ სპრინტერ მოცურავეთა ეროვნულ ჩემპიონატში ტომ ჯეგერმა 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 21,81.

რედაქტორის მოადგილე
უ. ჭიჭინაძე



თბილისის „დინამოს“ სტადიონი

ა. წერეთლის გამზირი № 2

## 30 მარტი ფეხბურთი

საქართველოს 1990 წლის ეროვნული ჩემპიონატი

(სეზონის გახსნა)

„თბილისი“ (თბილისი) — „კოლხეთი“ (ფოთი)

დასაწყისი 19 საათზე.

მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 28,29 და 30 მარტს დილის 10 საათიდან 19 საათამდე (შესვენება 14 საათიდან 15 საათამდე), ხოლო ორგანიზაციებში 29 და 30 მარტს.

### „სპორტლოტო“

გაიმართა „სპორტლოტოს“ 1990 წლის მე-12 ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 29 (სასტენდო სროლა), 30 (ძალოსნობა), 34 (ბალახის ჰოკეი), 45 (შაში).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 8 (ველოსპორტი, ტრეკი), 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 22 (წყალში ხტომა), 31 (ფარიკაობა), 33 (ფეხბურთი):

„სპორტლოტო 5 36“-დან მე-11 ტირაჟში მონაწილე ბილეთებს, რომელთა ნომრებია 946685 სერია 031, ნომერი 984930 სერია 325, ნომერი 143216 სერია 155 წილად ხვდათ კეთილი ნების თამაშებზე (აშშ) გასამგზავრებელი უფასო საგზურები.

### „სპორტპროგნოზი“

მე-12 ტირაჟის შედეგები
(24-25 მარტი)

1—2, 2—X, 3—1, 4—2, 5—1, 6—1, 7—1, 8—1, 9—X, 10—1, 11—2, 12—1, 13—1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს. ტირაჟში მე-6 წყვილის („ჟალგირისი“ ვილნიუსი — „დნეპრი“ დნეპროპეტროვსკი) შედეგი განსაზღვრულია წილისყრით.

### ყურადღება!

28 მარტს საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ სააქტო დარბაზში შედგება საქართველოს სპორტულ-კულტურული საზოგადოების „მაკაბის“ დამფუძნებელი კონფერენცია.

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს 18 საათიდან.

კონფერენცია დაიწყება 19 საათზე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
ხამდივნო — 93-97-53,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით სავაჭრო კორპუსში: ხიზანიშვილის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08 779